პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

23 სექტემბერი

პარასკევი

1900. მე II ინტერნაციონალის მე 5 კონგრესი პარიზში.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის და [illegible]
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.

ტელეფონი №

დღიური

— სტამბოლიდან ჩვენი წარმომადგენლის, ამხ. მოდებაძის მიერ გამოგზავნილია 60 ათასი ფუთი პური. აგრეთვე დადებულია ხელშეკრულება სექტემბერ-ოქტომბრის განმავლობაში პურის მნიშვნელოვანი რაოდენობის შეძენის შესახებ.

— რუსეთსა და გერმანიას შორის დაიწყო ოფიციალური ურთიერთობა.

№ 167 პარასკევი, 23 სექტემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 23 სექტემბერი. 1921 წ. № 167

სასურსათო თათბირის დადგენილების გამო

სასურსათო გადასახადის უდიდესი მნიშვნელობა დღეს ყველასათვის ნათელია. რა გინდ დიდი შედეგი გამოიღოს საგარეო ვაჭრობამ სურსათის შეძენის მხრით, რა გინდ ნაყოფიერი გამოდგეს საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომპანია, ჩვენი მდგომარეობა სურსათის მხრით მკვიდრი არ იქნება, თუ განსაზღვრული სასურსათო ფონდი არ გვექნა სახელმწიფო ბეღლებში დაგროვილი. ეს ფონდი გაგვიადვილებს როგორც მუშაობის და ჯარის გამოკვების საქმეს, ისე სასურსათო მანევრებს დამატებითი ფონდის შეძენით.

ამიტომ სასურსათო გადასახადის დროზე და სავსებით მოგროვებას უდიდესი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. სასურსათო გადასახადის კომპანიას მოწყობა და სრული ორგანიზაცია ესაჭიროება. უკვე გამოირკვა, რომ გლეხობა არა თუ წინააღმდეგობას არ გაუწევს სასურსათო გადასახადის მოკრებას, თითონ მზათ არის სავსებით მოიხადოს ვალი მუშურ გლეხურ რესპუბლიკის წინაშე თავისი ნაწარმოების განსაზღვრული ნაწილის გადადებით. ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რამდენათ ვისარგებლებთ გლეხობის ასეთი განწყობილებით საბჭოთა მთავრობისადმი და სათანადოთ მოვაწყობთ და ავამუშავებთ გადასახადის მომკრეფ აპარატს. ეს არის საშური, გადაუდებელი საქმე, ეს არის მთავარი საკითხი მიმდინარე მომენტისა. სასურსათო თათბირის დადგენილებით მთელი პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს სამაზრო სურსათო ამკრეფ კომისიებს. ამ კომისიების პირადი შემადგენლობა შესაფერისი უნდა იქნეს იმ დიადი როლის, რომელიც უნდა შეასრულონ ადგილობრივ სასურსათო კომისარიატის ორგანოებმა.

მაგრამ საუკეთესო შემადგენლობის კომისიაც ვერ გაართმევს თავს რთულ საკითხებს, თუ მისმა მუშაობამ შესაფერის პირობებში არ იწარმოვა. საბჭოთა მთავრობის ყველა ადგილობრივ ორგანოებმა ყოველ მხრივ დახმარება უნდა გაუწიონ ამ კომისიებს. უნდა ამოძრავდენ ჩვენი პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციებიც და თავის საუკეთესო ძალები უნდა დაახმარონ სასურსათო კომისიებს. მით უფრო, რომ ტრანსპორტის საკითხი ერთი თავსამტეხი საკითხთაგანია სასურსათო კომპანიის. რკინისგზების მუშაობა თუ უზრუნველყოფილია, სამაგიეროთ რკინისგზებზე მოშორებულ რაიონებში საქმე გართულდება ტრანსპორტის უქონლობის გამო. არც ერთ სახელმწიფოს არ ძალუძს საკუთარი ტრანსპორტი ამუშაოს ყველგან, არ შეუძლია ჩვენს რესპუბლიკასაც. ამიტომ, აუცილებელი ხდება მცხოვრებთა გადასაზიდ საშუალებებს მივმართოთ და გამოვიყენოთ საურმე ბეგარა, რის მოწესრიგება დავალებული აქვთ იმავე სამაზრო კომისრებს, უნდა ჩატარდეს წესიერათ, სამართლიანათ. კომისიების მუშაობას აქ უნდა დაეხმაროს სამაზრო და სათემო რევკომების ცოდნა ადგილობრივი პირობების, უმთავრესად კი—ჩვენი პარტიული ორგანიზაციების და სასოფლო იაჩეიკების ფართო აგიტაცია. შეძლებულებმა ბეგარის სიმძიმის გადადება შეუძლებლებზე ვერ უნდა გაბედონ. როგორც სასურსათო გადასახადის მოგროვება, ისე მისი გადაზიდვა სათანადო სისწრაფით და პროლეტარული სამართლიანობის დაცვით უნდა სწარმოებდეს. ამის თვალყურის მადევნებელი და კონტროლის გამწევი ჩვენი ამხანაგები უნდა იყვნენ.

მუშაკთა ახალი კადრებისათვის

გამოცდილ მუშაკთა სიცოტავე ახალი ფორმების მიმდინარე აღმშენებლობის ყველა დარგში ჩვენი სინამდვილის ერთ საჭიროროტო კითხვათ გადაიქცა. მის სიმწვავეს განვიცდით ჩვენ, როგორც ქალაქათ, ყოველ დღიურ მუშაობაში, ისე—და კიდევ უფრო—ადგილობრივ, პროვინციაში. ამაზე ლაპარაკია ყველგან. სახელმწიფოებრივი და პარტიული ცენტრალური დაწესებულებანი სავსეა ადგილებიდან მოსული ახალი მუშაკების მოთხოვნებით ეს სიცოტავე არის სუბიექტიური მხარე ჩვენი სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის კრიზისის, რომელიც ასე აშკარათ საგრძნობი შეიქმნა ჩვენში და რომელსაც საჭირო არ არის ხელი დავაფაროთ და დავმალოთ ის. ამაში გასაკვირი და ახალი არაფრისთვის არაფერი არ უნდა იყოს. კულტურული ძალებით სიღარიბე საერთო სენია ყველა ჩამორჩენილი ქვეყნების და მათ რიცხვში, რასაკვირველია, ჩვენისაც. ამას ერთვის და ართულებს კიდევ ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ მიმდინარე გარდამავალი ხანის სახელმწიფოებრივი და სამეურნეო აღმშენებლობისათვის საჭირო მუშაობა, ამ მუშაობის შინაარსი, სრულიად სცილდება ძველ შაბლონს, რომელსაც შეჩვეული იყო ძველი და ახალი თაობა მოღვაწეებისა. ეს საკითხი თავსატეხი შეიქნა არა მარტო ჩვენთვის, ჩვენ ქვეყანაში, არამედ ყველა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებშიაც. ჩვენ წინ ის წამოიჭრა განსაკუთრებით თებერვლის გადატრიალების შემდეგ, როდესაც მთელი სიმძიმე სახელმწიფოს მართვა გამგებლობის და სათანადო ორგანოების მოწყობის დააწვა მხოლოდ ჩვენი მცირე რიცხოვანი მუშათა კლასის მოწინავე ნაწილს ჩვენს პარტიას. მას შემდეგ, საერთო მუშაობის გაფართოებასთან ერთად, როდესაც საჭირო შეიქნა ამისთვის მუშაკების სულ ახალი და ახალი ძალები, ეს კრიზისიც გამწვავდა და იმ ზომამდე, რომ ის შეიქნა ერთ უმთავრეს ხელშემშლელათ ჩვენს მუშაობაში. საბჭოთა იდეებით გამსჭვალულ და საკუთარ პარტიულ მუშაკების სიცოტავემ კერძოთ შედეგათ ის მოყვა, რომ ძალაუნებურათ, ადგილობრივ და ცენტრშიაც, სახელმწიფოებრივი ორგანოების ხშირათ ფრიად საპასუხისმგებლო პოსტებზე აღმოჩნდენ ისეთი ელემენტები, რომლებიც არიან არა მარტო დაშორებული ამ იდეისაგან, არამედ ხშირათ მისდამი მტრულადაც განწყობილნი. ასეთ შემთხვევაში ისინი სარგებლობენ თავის მდგომარეობით არა საქმის სასარგებლოთ და მის წინ წასაწევათ, არამედ ბოროტადაც იყენებენ მას თავის პოლიტიკური მიზნებისთვის, ზოგჯერ პირადი კერძო ინტერესებისთვისაც და დარღვევის, დაშლის ელემენტები შეაქვთ დაწყებული დიდი მუშაობის მიმდინარეობაში. ჩვენი საქმის განვითარებისათვის შემაფერხებელ ამ მოვლენას ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ და შეძლებისდაგვარათ ახლო მომავალში მას საზღვარი დავუდოთ. საბჭოთა და პარტიულ მუშაკების ახალი კადრების შექმნა და მათი მუშაობაში ჩაბმა შეადგენს შექმნილი მდგომარეობიდან აუცილებელ გამოსავალს, რომელიც რაც უნდა დაგვიჯდეს უნდა მოვახერხოთ ჩვენ. ნაწილს ამ მიზნისას ემსახურება ეს ერთი ხანია გახსნილი ცენტრალური პარტიული სკოლა და ასეთივე პარტიული სკოლები ზოგან ადგილობრივ. საბჭოთა მუშაკების ახალი კადრების შესაქმნელად კითხვა უნდა დაისვას კიდევ უფრო პრაქტიკულად და სახელდობრ ისე, როგორც ამას გვიჩვენებს გამოცდილება საბჭოთა რუსეთის, სადაც ამ მხრივ სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული და სასურველი შედეგებიც მიღებული. ამ კითხვას გადასაჭრელათ მიღებულ, საბჭოთა რეჟიმისათვის ჩვეულებრივ ზომებს გარდა, რომელიც მდგომარეობს მოწინავე მუშების გამოყოფაში სამეურნეო და პოლიტიკურ ორგანოებში სამუშაოთ, იქ მიმართეს კიდევ პრაქტიკანტობის სისტემას. ეს საშუალება ახალი არ არის, მას ადგილი აქვს ყველგან. საჭიროა მხოლოთ მისი ახალი, ჩვენი დაწესებულებებისთვის შესაფერი შინაარსით წამოწევა. ამ მხრივ საინტერესოა საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება დაწესებულებებში პრაქტიკანტობის სისტემის შემოღების შესახებ გამოცდილ მუშაკთა გამომუშავების მიზნით. ეს ზომა განძრახულია გატარდეს ყველა სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში და ანხორციელებენ კიდევაც მას. ჩვენი „სარეზერვო არმია“, საიდანაც კრებენ ამ მომავალ საბჭოთა მუშაკებს, არის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი. პრაქტიკანტებათ ადგილობრივ ორგანოებში აგზავნიან კავშირის იმ წევრებს, რომლებსაც აქვთ უკვე ერთნაირი პოლიტიკური მომზადება. რამოდენიმე ხნის სტაჟის შემდეგ, მათ შორის გამორჩევით, საუკეთესოებს გზავნიან უკვე ცენტრალურ დაწესებულებებში მუშაობის დასასრულებლათ. ამ ზომას შეგვიძლია მივმართოთ ჩვენც, რადგან, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრში ახალგაზრდათა კომ. კავშირში მოიძებნებიან ისეთი ელემენტები, რომლებიც წარმატებით შეძლებენ იმუშაონ ამ ახალ ასპარეზზე. ცხადია, ერთი გარემოება რამოდენიმეთ ხელის შემშლელი იქნება ჩვენთვის ამ ახალ საქმეში: სახელდობრ ის, რომ ჩვენი საბჭოთა ორგანოები, ეკონომიური და პოლიტიკური, თვით არ დგანან დღეს კიდევ თავის დანიშნულების სიმაღლეზე, ხშირათ თვით არიან მოკლებული საჭირო გამოცდილებას, რომლის მისაღებათ საკმაო არ არის ის მოკლე დრო, რომელშიაც მათ მოუხდათ დღემდე მუშაობა. მაგრამ რამოდენიმეთ ეს გამოცდილება უკვე შეძენილია და ზოგიერთ დაწესებულებებში მუშაობაც მწყობრათ დაყენებულია. ხოლო მისაღებია მხედველობაში ის გარემოება, რომ ასეთ დაწესებულებებში ჩვენ გავგზავნით ელემენტებს ჩვენი საკუთარი ორგანიზაციისას, როგორიც არის კომკავშირი და რომლის წევრები გამსჭვალული არიან საბჭოთა რეჟიმისა და ჩვენი პარტიის მიზნების სამსახურის სურვილით. ყოველ შემთხვევაში პრაქტიკანტობის სისტემა არის ერთი საშუალებათაგანი, რომელსაც სხვა ზომებთან ერთად ჩვენ აუცილებლათ უნდა მივმართოთ და ენერგიულათ გავატაროთ, რომ ბოლო მოუღოთ და ახლო მომავალში რამოდენიმეთ მაინც შევანელოთ გამოცდილ საბჭოთა მუშაკების სიცოტავით შექმნილი კრიზისი, ამ საშუალებით მუშაკთა ახალი კადრების შექმნა და მით ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანოების შევსება, ასეთია ერთი გზა, რომლითაც უნდა მივუდგეთ ჩვენ ჩვენი ორგანოების გაჯანსაღებისა და გამაგრების საქმეს.

ვის და რას ემსახურებიან ქართველი მენშევიკები?

მენშევიკ ლ. მარტოვის ჟურნალში „Социалистич. Вестник“ № 12 ვკითხულობთ შემდეგს:

„ამხ. ნ. ჩხეიძემ და ნ. რამიშვილმა ინახულეს პოლონეთი. ქართველ ერის წარმომადგენელთა საპატივცემოთ პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ მიტინგი მოაწყო. ჩხეიძის შემდეგ გ. დაშინსკიმ აიღო სიტყვა და ასეთი მორალი გამოიყვანა ქართველი ხალხის დამარცხების ისტორიიდან: საქართველო დამარცხდა იმიტომ, რომ მის ჯარს არ ეყო საარტილერიო მოწყობილობა. აქედან აშკარაა,*) თუ რა შეცდომა დაუშვეს 1920 წ. ევროპის სოციალისტებმა, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს თავიანთ მთავრობებს პოლონეთში სამხედრო მასალის შემოზიდვის საქმეში საბჭოთა რუსეთთან ომის საწარმოებლად. „აქედან აშკარაა“—განაგრძობს ჟურნალი—უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, ის, რომ „პ. პ. ს.“-ის ლიდერებს დღესაც ვერ მოუსვენიათ კიევის დაკარგვის გამო, რომლის დასაპყრობათ აქეზებდენ პოლონეთის იმპერიალისტებს ეს თავისებური სოციალისტები.

აქედან აშკარაა ისიც, რომ პოლონეთის შოვინისტებმა გამოიყენეს ქართველ ამხანაგების ჩამოსვლა იმისთვის, რათა ბოლშევიკების თავდასხმის გამომცდელ ქართველ ხალხისადმი სიმპატიის სახით გამართად ანტირუსული (და არა ანტიბოლშევიკური) მანიფესტაცია იმ ზღაპრის გასაცხოველებლად, ვითომ პოლონეთი „თავდაცვითი“ ომს აწარმოებდა, რაიც ძალით დაიმორჩილა რამდენიმე მილიონი [illegible] რუსის და უკრაინის მცხოვრებლები. მაგრამ განა არ ჩანს აქედან ისიც, რომ ასეთ „თანამგრძნობებთან“ დარაზმობა ქართველი ხალხის სოციალ-დემოკრატიული წარმომადგენლების მხრივ საძრახის (фальшивое) მდგომარეობაში აგდებს მათ, არა [illegible] რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიისა, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატის მიმართაც?

ვინაიდან ძნელი, ძლიერ ძნელი იქნება ამ უკანასკნელის ცნობის დაჯერება ქართველი ხალხის ნაციონალური ბრძოლისადმი, თუ კი ეს ბრძოლა დაუახლოვდება „ისტორიულ მისიას“ აღმოსავლეთ ევროპის ახალ ჟანდარმის—იმპერიალისტურ პოლონეთს, და თუ ასეთ დაახლოვების შუქში,—ამხ. ჩხეიძის და რამიშვილის თანადასწრებით და მათი მხრით უპროტესტოთ,—„სამწუხარო შეცდომათ“ გამოცხადებულ იქნა ხოლმე ის პროლეტარიატის საერთაშორისო გამოსვლა, რომელსაც პროლეტარიატი თავის უკანასკნელი ისტორიის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ეპიზოდათ სთვლის, და რომელიც—ნუ დავივიწყებთ—მოწყობილი იყო ამსტერდამის პროფესიონალურ ინტერნაციონალის მიერ“.

როგორც ვხედავთ, დღეს მარტოვიც კი ამბობს, რომ ქართველი მენშევიკები იმპერიალიზმის ლაქიებია, რომ თავისი მოქმედებით მხოლოდ საერთაშორისო რეაქციას ემსახურებიან ისინი სოციალდემოკრატიული იარლიკის ქვეშ, და მუშათა კლასის ინტერესებს, პროლეტარიატის კლასიურ მიზანს დიდ და მცირე ანტანტას ათელვინებენ ფეხებით.

---

*) ხაზ გასმული ყველგან დედანშია.

ალიარეთ!

(კიდევ გაზ. „ტრიბუნის“ რედაქციას).

ერთხელ და უკანასკნელათ ვაცხადებ, რომ ფიქრადაც არ მქონია, „ეროვნული საკითხის“ გარშემო თქვენთან კამათი გამემართა; მაგრამ მიუხედავათ ამისა ყოველთვის ვცდილობდი და ვცდილობ სასწორით გავიგო თქვენ და თქვენი თანამშრომელთა აზრი თვით მიმდინარე ცხოვრების მიერ წამოყენებულ კითხვებზე და პარტიულ მოვალეობათ მიმაჩნია ჩემი აზრიც გამოვთქვა ამ კითხვებზე; და თუ თქვენ, როგორც „მოწინააღმდეგე“ ჩემ მიერ „თქვენი აზრის დამახინჯებას“ უსაბუთოთ და [illegible] დამწამებთ, მაშინ ამის გამო „უხერხულობა“ თქვენ უნდა იგრძნოთ და არა მე. ხოლო თუ თქვენ ამას არ გრძნობთ, ეს იმიტომ, რომ თქვენ თქვენივე ფურცლებზე დაბეჭდილის აღიარება არ გსურთ.

ჩემ მიერ მოყვანილი „ციტატაში“ თერთმეტი სიტყვიდან რვა სიტყვასიტყვით გადმოვთქვი, მხოლოთ სამი სიტყვა ჩემ მიერ ჩამატებული ზედმიწევნით და სასწორით გამოხატავს იმ აზრს, რაც თერთმეტი სიტყვით გამოთქვით.

თუ ამას „მოწინააღმდეგის აზრის დამახინჯება“ ჰქვია, მაშინ მიბრძანეთ „ტრიბუნავ“: რა ვუწოდოთ იმას, რომ თქვენ ტყავიდან ძვრებით და ყოველნაირი „მანერებით“ ცდილობთ მომაჩვენოთ, ვითომ თქვენი ნაწერი თქვენ სხვაფრივ გესმით, ვიდრე მე?!

რ. კ.

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო

სურსათის შემოტანის საკითხი.

იტალიის წარმომადგენლის სახელზე თბილისში მოვიდა მოდებაძისაგან გამოგზავნილი შემდეგი დეპეშა:

გემი „სიდერიტო“ გამოდის დღეს 60 ათასი ფუთი პურის ფქვილით დატვირთული საგარეო ვაჭრობის მისამართით, ხოლო მიდიან ნახევარის ღირებულების საგნებით [illegible]კომის სახელზე. დადებულია ხელშეკრულება მნიშვნელოვანი რაოდენობის პურის შეძენის შესახებ სექტემბერ ოქტომბრის განმავლობაში. დღეს შედგება შავი ქვის მრეწველთა კონფერენცია, სადაც მიღებულ იქნება ზომები შავი ქვის დაუყონებლივ რეალიზაციის შესახებ.

მოდებაძე

ზუგდიდის მაზრის რევკომის მუშაობა.

ცხენების გამოყვანა.

ცხენების გამოყვანის შესახებ რევკომმა დაადგინა ნება მიეცეს მილიციის უფროსს გამოიყვანოს სოფლებიდან მორიგეობით თითო-თითო ცხენი სხვა და სხვა საჭიროებისათვის, მხოლოდ შეძლებული პირებისა.

წისქვილების საკითხი.

რევკომის მიერ დადგენილი იქნა წისქვილების დაბეგვრა შემოსავლის კვალობაზე. მაზრაში არსებული წისქვილების აღრიცხვა მიენდოს სარაიონო რევკომებს.

— 4 ივლისს რევკომის მიერ დამტკიცებული იქნა მიწის კომიტეტების არჩევნები. სულ არჩეულია 8 კაცი რაიონების მიხედვით, რომლებიც იღებენ ულუფას და ჯამაგირს რევკომისაგან.

27 ივლისს რევკომის სხდომაზე დაკმაყოფილებული იქნა გარნიზონის მიმართვები უფროსის წინადადება ტყის დათმობის და შეშის დამზადების შესახებ, რევკომმა მისცა უფლება ჯარს დაამზადოს 30 კუბიკური საჟენი შეშა დიდი ნეძის და ხეთას რაიონში, სადაც გაიგზავნა რევკომის და ბრიგადის წარმომადგენლები ტყის დასათვალიერებლად.

რუსეთი

გერმანიასა და რუსეთს შორის ოფიციალურ ურთიერთობის დაწყება.

მოსკოვი 20 სექტემბერი (რადიო). რწმუნებითი სიგელის ჩაბარების დროს, ვინცერფელდმა შემდეგი სიტყვით მიმართა ც. ა. კომიტეტის თავმჯდომარეს: „გაბარებთ რა, ც. ა. კ. ის თავმჯდომარევ თავისი რწმუნებითი სიგელებს, მე მინდოდა გერმანიის მთავრობის სახელით გამომეთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ ამიერიდან რუსეთისა და გერმანიის ურთიერთობამ კვლავ მიიღო ოფიციალური ხასიათი მთელი მისი სისრულით. გერმანიის მთავრობა იმ აზრისაა, რომ ეს მჭიდრო საერთო მუშაობა ორივე მხარეს მოუტანს საგრძნობი და მათი განვითარებისათვის არსებით სარგებლობას. ორივე ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ რუსეთის და გერმანიის სახალხო მეურნეობათა შორის გაცხოველებული ურთიერთობის დამყარებას: მე მიზნად ვისახავ წარმატებითი საერთო მუშაობის აუცილებლობის იდეა პრაქტიკულად განვახორციელო“, თავის საპასუხო სიტყვაში ამხ. კალინინმა მიუთითა იმ მჭიდრო დამოკიდებულებაზე, რომელიც ყოველთვის არსებობდა ორივე ხალხის შორის და ამ ურთიერთობის შემდგომი განვითარების საჭიროებაზე. ც. ა. კ—ის თავმჯდომარემ შემდეგ აღნიშნა, რომ რუს ინჟინრების და ტექნიკების უმრავლესობამ განათლება გერმანიაში მიიღეს: გერმანია ყოველთვის იყო სამაგალითო ტექნიკის და ორგანიზაციის სამაგალითო მეთოდების ქვეყანა. გერმანიის სანიმუშო ორგანიზაციულ და ტექნიკურ გამოცდილების და რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა შეხამება—შეერთება შეუძლია ორივე ქვეყანას უდიდესი სარგებლობა მოუტანოს. ც. ა. კ. თავმჯდომარემ საბჭოთა მთავრობის სახელით განაცხადა, რომ მთავრობა მზად არის მოიმოქმედოს ყველაფერი შესაძლებელი ორივე ქვეყანას შორის არსებულ ეკონომიურ დამოკიდებულების გასაფართოებლად და განსამტკიცებლად, ამასთან გამოსთქვა რა რწმენა, რომ გერმანიის წარმომადგენელსაც ამოძრავებს ასეთივე განზრახვა და უსურვა მას სრული წარმატება მასზე დაკისრებულ მუშაობაში.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

გერმანიის მიერ ვალის გადახდა

ნაუენი 20 სექტ. (რადიო) გერმანიამ მოკავშირე სახელმწიფოებს გადასცა რაოდენობის ფული: საფრანგეთს—2,304,850 470 ფრანკი, ინგლისს—52,801,200 გირ. სტერლინ.; ბელგიას—378,781,809 ბელგიური ფრანკი; იტალიას—ზემო სილეზიაში მყოფ ჯარების შესანახ ხარჯების დასაფარავად—10,207,717 ფრანგული ფრანკი. ყოველდღიური ხარჯი თითო ჯარისკაცზე გამოანგარიშებულია შემდეგი ჯამით: შეერთებული შტატების 4 ნახ. დოლ. საფრანგეთის 25 ფრანკი, ინგლისის—15 შილინგი, ბელგიის—50, იტალიის 22 ფრანკი.

გერმანული პრესა, განმარტავს რა მოყვანილ ცნობას, კვლავ ამტკიცებს რომ გერმანიას არ შეუძლია ასეთი ვალების გადახდა და მას გაკოტრება ემუქრება. რომელიც დაუყოვნელად იმოქმედებს არა მარტო გერმანიაზე, არამედ ანტანტის ქვეყნებზედაც.

კომინტერნის მესამე კონგრესი

ამხ. ტროცკის სიტყვა

2 ივლისის საღამოს სხდომა.

აქ ამხანაგი ტელმანი ბრალს სდებს და ამხ. ლენინს,—ამბობს ამხ. ტროცკი,—და უნდა ითქვას, სრულებით უსაბუთოდ, თითქოს ის უარს ჰყოფდა დელეგაციების მიერ თეზისებში შესწორებების შეტანის უფლებას, რაკი ეს თეზისები რუსეთის დელეგაციის მიერ არის შემუშავებული. არავითარი ამის მზგავსი აქ არ იყო ნათქვამი. ამხ. ლენინი ამბობდა, რომ აქ წამოყენებული თეზისები არ წარმოადგენენ რუსეთის დელეგაციის მუშაობის შედეგს, რომელსაც ჩაიკეტა სადღაც ოთახის კარები და რამოდენიმე საათის განმავლობაში შეიმუშავა ისინი. სრულებითაც არა. ამხ. ტელმანს შეეძლო ამის შესახებ მიეღო ცნობები თავის დელეგაციის წევრებისაგან. ჩვენ გვქონდა ძალიან ხანგრძლივი და ხშირად მწვავე კამათი, სხვათაშორის გერმანიის დელეგაციის წევრებთან, თანაც ვიხილავდით სხვა და სხვა წინადადებებს, მათ შორის წინადადებებს გერმანიის დელეგაციისაც, ვუთანხმდებოდით ერთმანეთს და მხოლოდ როგორც ასეთი პროცესის შედეგი მივიღეთ ეს თეზისები. ისინი, რასაკვირველია ვერ აკმაყოფილებენ ყველა ჯგუფებს და ყველა ტენდენციებს, მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ ჩვენ მათ ვსთვლით, როგორც კომპრომისს და მასთან კომპრომისს მარცხნივ დამუშავებულს. რას ნიშნავს სიტყვა „მარცხნივ“ ამას მე შემდეგში განვმარტავ.

ზოგიერთ დელეგატებმა მე კერძოდ გამოაცხადეს თავიანთი მოუთმენლობა იმის გამო, რომ გერმანიის დელეგაცია აქ ძალიან ბევრს დროს ჰკარგავს და ძალიან ფართოდ არჩევს თავის შინაურ საქმეებს კონგრესზე. ასეთი მოუთმენლობა შეუსაბამოა. აქ უპირველესად ყოვლისა არის ლაპარაკი მარტის გამოსვლებზე. თავის თავად გასაგებია, რომ ასეთ პოლიტიკურ საკითხს უკავშირდება ბევრი პირადი საკითხები, შეხლანი და გაწვავებანი. ზოგიერთი ამხანაგები ძლიერ აწვავებდნენ საკითხის ამ პიროვნულ მხარეს, როგორც ეს ამხ. ჰეკერტმა ჩაიდინა, რომლის სიტყვა სხვა მხრივ საინტერესო იყო, მაგრამ ჩვენ უნდა შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება უმთავრეს საკითხზე. და ეს სრულებით არ არის გერმანიის საკითხი. მას აქვს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა. გერმანიის პარტიას სხვა დასავლეთ ევროპის პარტიებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი შეიქმნა დამოკიდებელი, დიდი პარტია, რომელიც პირველად დამოუკიდებლად ხელმძღვანელობდა გამოსვლას. და ვინაიდან ახალგაზრდა იტალიის პარტია და კომუნისტური თვალსაზრისით აგრეთვე ახალგაზრდა საფრანგეთის პარტია იმყოფებიან ანალოგიურ მდგომარეობაში, ყველა დელეგაციებმა, განსაკუთრებით აღნიშნულებმა ბევრი რამე უნდა ისწავლონ ამ საკითხის განხილვის დროს. მარტის გამოსვლების საკითხში მე დავიწყებ ტეზისებში შესატანად წარმოდგენილ ცვლილებებიდან, ვინაიდან ჩვენ უნდა ამოვირჩიოთ ორ ტენდენციიდან ერთი. თუ წარმოდგენილ შესწორებებს არ აქვს მხოლოდ სარედაქციო ან საქმიანი ხასიათი, მაშინ კონგრესი ვერ ჩასთვლის მათ ტეზისების შესწორებებად, არამედ უნდა დაუპირდაპიროს ისინი ამ ტეზისებს. ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ ჩვენ ისინი. მარტის გამოსვლების შესახებ ამხანაგების მიერ წარმოდგენილი შესწორებები შე დარეულ ჩვენი თეზისების შესაფერ ადგილს. ჩვენ ვუყურებთ მარტის გამოსვლებს, როგორც ბრძოლას, რომელიც იძულებით თავს მოახვია გერმანიის გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიას მთავრობამ მუშებზე თავდასხმით. ჩვენ აღვნიშნავთ გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის გმირულ გამოსვლას, რომელმაც დაამტკიცა, რომ ის, არის რევოლიუციონური პროლეტარიატის ნამდვილი პარტია. ჩვენ შემდეგ მივუთითებთ მნიშვნელოვან შეცდომებზე და ვათავებთ გერ. კომ. პარტიისათვის დარიგებით მთელი რიგის აღნიშვნით, რომ შემდეგში ასეთი შეცდომები არ განმეორდეს. რას ამბობენ ამხანაგები მარტის ამბების შესახებ? ისინი წინადადებას აძლევენ კონგრესს იცნოს მარტის გამოსვლა გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის მიერ წინ გადადგმულ ნაბიჯად, როგორც კომუნისტური პარტიის თავის ხელმძღვანელობითი როლის განმტკიცების ცდა გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლაში, და შემდეგ—იცნოს მარტის ამბები ფრიად მნიშვნელოვნათ, რადგან პარტიას მიეცა შესაძლებლობა ნათლათ დაენახა თავისი მოვალი შეცდომები და დეფექტები, რამაც, თავის მხრივ, პარტიული დისციპლინა გაამაგრა და სხვ. როცა ჩვენ ვამბობთ, რომ მარტის ამბები წარმოადგენდნენ ნაბიჯს წინ, მე ეს ასე მესმის, რომ კომუნისტური პარტია პროპაგანდისტურ კომუნისტურ ორგანიზაციიდან და გაერთიანებული პარტიის ჯგუფიდან გარდაიქმნა დამოუკიდებელ, შეკავშირებულ პარტიად, რომელსაც, დაბოლოს, მიეცა შესაძლებლობა დამოუკიდებლად ჩაერიოს პროლეტარიატის ბრძოლაში. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ პარტიის ამ პირველმა ცდამ მიაღწია მიზანს და თუ ამ ცდის დამსახურებად სთვლიან იმას, რომ მისმა შეცდომებმა შესძლეს ბევრი რამეს სწავლება, მე უნებურად მაგონდება მესამოცდაათ წლების ერთი რუსი მთარგმნელი, რომელმაც გადათარგმნა ინგლისური წიგნი მხოლოდ იმისთვის, რომ ცხადად დაენახვებია ყველასათვის, რომ ეს წიგნი ცუდია. იმისთვის კი არ სწყდებიან რაიმე გამოსვლას, რომ ამ უკანასკნელის შეცდომებით მომავალში ისარგებლონ. ამხ. ჰეკერტმა თავის საინტერესო სიტყვაში დაგვიხატა ჩვენ მარტის ამბების სურათი მთელი და შინაურ [illegible] მდგომარეობით, ზარალის ამხილების საკითხი, რუსეთის დაცემა, ზემო სილეზია, ეკონომიური კრიზისი, უმუშევრობა, დიდი გაფიცვები და აი წინააღმდეგობათა გამწვავებულ ფონზე [illegible] შუა გერმანიის [illegible] პარტიის [illegible] გამოსვლა. ა, [illegible] დამთავრებული პოლიტიკური და ეკონომიური სურათი, სადაც მაინც სავსებით გაურკვეველია, თუ რატომ გამოდის საჭიროდ პროლეტარიატის ხელმძღვანელი [illegible]. მაგრამ აქ ამხ. ტალჰეიმერი 30 წლის შემდეგ უკვე საკმაოდ გამომწვეული, იძლევა მერინგის კალამს კომუნისტური პარტიის ისტორიის დასაწერად, ის, შეადგენს დოკუმენტებს და წიგნებს, რომლებშიაც დაინახავს მოძრაობის სრულიად სხვა სურათს. საერთაშორისო მდგომარეობა იყო საკმაოდ გაურკვეველი, და ფრანგულ გერმანული კონფლიქტი საერთოდ და მთლიანად კომპრომისს უახლოვდებოდა. ზემო სილეზიის საკითხი ჰაერში იყო ჩამოკიდებული, და არ შეეძლო [illegible] რევოლიუციონური გავლენა [illegible] განიარაღება, ამას სწერდა „როტე ფანე“ წინააღმდეგ ჰეკერტის აზრისა,—უნდა დამთავრებულიყო კომპრომისით ბავარიის და მთელი გერმანიის რევოლიუციონური პროლეტარიატის ხარჯზე. 30 წლის შემდეგ ამხ. ტალჰეიმერი იპოვის სტატიებს, რომელშიც დამტკიცებულია, რომ ეკონომიური კრიზისს გერმანიაში ჰქონდა და აქვს სრულიად სხვა ხასიათი გარდა შეერთებულ შტატებში და ინგლისში, რომ ის იქ კატასტროფულად არ არის გამწვავებული, როგორც ამ სახელმწიფოებში, რომ გერმანიაში, სადაც მთელი ეკონომიური ცხოვრება დაცემულია [illegible] შეერთებულ შტატებთან და ინგლისთან შედარებით. ამხ. ჰეკერტი ამბობს: ყველაფერი გამწვავებული იყო, ქარიშხალი იწყებოდა. მოდის შემდეგ მეორე ამხანაგი, რომლის სახელი იცის ტალჰეიმერმა, და ამბობს: ყველაფერი იყო, ყველაფერი იყო,—[illegible] ქაოსი, პასივობის [illegible] მთელი გაუვალი [illegible]. ჩვენ უნდა გავცილდით პასივობის. ეს მთა, რადაც უნდა დაგვჯდომოდა ეს სრულიად დამთავრებული სურათია. ორივე სურათი კარგია, მაგრამ ცუდათ არიან ერთმანეთთან შეთანხმებული.

არის, დაბოლოს, მესამე ახსნაც: შუა-გერმანიაში ხალხი აღზნებული იყო, ირგვლივ კი გავრცელებული იყო პასივობა, ერთი სიტყვით [illegible] პასივობის კოშკში გახვეული. ყველა ეს ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს გერმანიის დელეგაციის ზოგიერთი წევრები თავის მოვალეობათ სთვლიან საქმის დაცვას, და არა მის გამორკვევას.

ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რასაც ხაზი გაუსვა თავის სიტყვაში ამხ. ტელმანმა: „რომ მივიღოთ თეზისები ჩვენი შესწორებებით—თაც,—ამბობს ის,—გერმანიაში ჩვენ მაინც კრიზისი მოგველის, ჩვენ დაგვპირდება სრული გადატეხის გამოცდება. საქმე იმაშია, რომ როცა გერმანიის პარტიის წარმომადგენლებმა დაინახეს, რომ ამხანაგები ინტერნაციონალიდან იმათ სთვლიან არა უცხოეთ საგნებს, მათ გააკეთეს სტრატეგიული შემოვლა. შესწორებები საშიშარნი არიან არა იმით, რაც იმათში უშუალოდ არის ნათქვამი, არამედ თავის გაურკვევლობით და აზრის დაუმთავრებლობით. ეს არის საკმაოდ ბუნდოვან ფორმებში გამოთქმის ცდა იმ ტაქტიკურ აზრების შეტევითი ეპოქაზე, რომლებიც ვრცელდებოდა გერმანიის კომუნისტურ პარტიის ოპოზიციის ცენტრალურ კომიტეტის მიერ ბრძოლის ძალიან გამწვავებულ დღეებში. ამხ. ტელმანმა ძალზე სთქვა, რომ ისინი უკან უნდა დაბრუნდნენ ისეთი თეზისებით ხელში, რომლებშიაც არ იქნება გაკიცხული მათი საქციელი. ჩვენც აგრეთვე არ გვინდა სახელი გაუტეხოთ გერმანიის პარტიას, რომელიც ჩვენ პარტიებში ერთი საუკეთესოთაგანია, მაგრამ ცოტა რამე მაინც არის გასაკიცხი. მარტის ამბების მთელი გაშუქება, ბრძოლის და გამარჯვების მთელი პირობები შესწორებებში ისეთია, თითქოს ამართლებდეს ყველაფერს, რასაც აკეთებდა, სწერდა და ლაპარაკობდა გერმანიის ცენტრალური კომიტეტი. ეს არ იქნებოდა მართალი, ხოლო საშიშარი კი იქნებოდა. აქ არის საქმის არსებითი მხარე. გერმანელ ამხანაგებს უნდათ ისეთი რეზოლიუცია მიიღონ, რომელიც მხოლოდ იწონებს მათ საქციელს და არ იძლევა სწორ დაფასებას. ამის დაშვება შეუძლებელია. მე იმედს გამოვსთქვამ, რომ რეზოლიუციის ტაქტიკის შესახებ არ ეწვევა იგივე ბედი, რაც რეზოლიუციის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ: მისცეს რა ხმა მის წინააღმდეგ, გერმანელმა ამხანაგებმა წარმოადგინეს მხოლოდ მცირე შესწორებანი. მე ვიცი საკუთარი გამოცდილებით, თუ რა ძნელია, როცა გკიცხავენ პარტიულ ყრილობაზე, თუნდაც ეს იყოს გამოწვეული კერძო საკითხით, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ საქმისათვის უმჯობესი იქნებოდა, რომ ეს საკითხი სრულიად ნათლად ყოფილიყო გარკვეული. მე სრულიადაც არ ვფიქრობ, როგორც ამას ლევი ამბობდა, რომ მარტის ამბების შემდეგ პარტია დაიღუპა. ეს ჩახვევაა. მაგრამ სწორეთ კონგრესმა უნდა უთხრას გერმანელ ამხანაგებს, რომ პარტიის დიდი [illegible] ხელმძღვანელობის პირველი ცდა ვერ გამოდგა სამაგალითო. პირიქით, თუ არ შეიცვლება გაკვეთილობის [illegible] ისეთი შეცდომები განმეორდებიან, მაშინ მართლა ეს კარგი პარტია იგემებს გამოუსწორებელ ზარალს.

ფალეცკი (ადგილიდან). თქვენ იცით, რომ ეს შეუძლებელია.

ტროცკი. დიახ, პარტიის ცენტრალური კომიტეტისთვის, მაგრამ არა ათასეულ შეკავშირებულ მუშებისთვის, რომლებიც ფიქრობენ, რომ კონგრესი ზეიმით შეხვდება იმასაც, რასაც ჩვენ შეცდომათ ვთვლით.

იგივე ითქმის „ჩვენს ფრანგ მეგობრებზე. აღმასრულებელ კომიტეტში ჩვენ განვიხილეთ საკითხი იმის შესახებ, (უნდა წამოეყენებინა საფრანგეთის პარტიას თუ არა), ლოზუნგი 1919 წლის მობილიზაციის წინააღმდეგ, როდესაც მე ვკითხე ერთ ახალგაზრდა ამხანაგს, როგორ აქვს მას წარმოდგენილი მობილიზაციის წინააღმდეგობა, შეიარაღებული თუ პასიური, მან თავის გულის სიღრმიდან ასეთი პასუხი მომცა: „თავის თავად ცხადია, რევოლვერით ხელში“. ის ღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ მის ასეთ შეხედულებას იზიარებს მესამე ინტერნაციონალი და ჩვენში მისი სიტყვები დიდ რევოლიუციონურ სიხარულს გამოიწვევს. რასაკვირველია, ჩვენ იმას გადავუვლით ცივი წყლის მთელი ბოჩკა, და მე ვფიქრობ, რომ ამხანაგი ერთხელ უფრო წინდახედული იქნება. მაგრამ მის პასუხში რაღაც იმალება მაინც და მაინც შეტევის დიდებული თეორია, რა ფასადაც არ უნდა დაგიჯდეს, იგი, სრულებით არ არის მარქსისტული, მიუხედავად ამისა რამოდენიმე ხნის განმავლობაში ამის გავლენის ქვეშ იზრდებოდა მთელი რიგი გერმანიის პარტიულ ამხანაგებისა, და ისინი უცდიან ერთ კონგრესის აზრს და თუ ბუნდოვანი სიტყვებით ვაქებთ და ვადიდებთ მარტის ამბებს, ჩვენ ვერ შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას, საჭიროა კი ნათლად აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ვსთვლით შეტევის ფილოსოფიას და ტაქტიკას, რა ფასადაც არ უნდა დაჯდეს ის, უდიდეს საშიშროებად, მისი პრაქტიკული გამოყენება კი მომავალში ჩაითვლებოდა ბოროტმოქმედებათ. ამხ. ზინოვიევთან ერთად მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ ერთსულოვნათ გამოვიმუშავებთ ჩვენი მოქმედების გეგმას და ეგრედ წოდებულ „მემარცხენეებისაგან“ არავითარ სერიოზული დაბრკოლებები არ შეგვხვდება.

ეს ტერმინი „მემარცხენე“ აქ სრულიად უადგილოა, „მემარცხენეობაზე“ აქ უნდა ვილაპარაკოთ უფრო დაცინვით, ვიდრე სერიოზულათ, ვინაიდან პოლიტიკურად არ არის და არც შეიძლება იყოს პარტია, რომელიც იდგომება ჩვენზე, კომუნისტურ ინტერნაციონალზე, უფრო მარცხნივ. ჩვენ ისეთ პარტიას შევადგენთ, რომელსაც შეძლება აქვს გამოიყენოს ყოველივე მდგომარეობა, ყველა შესაძლებლობა და არა მარტო აწარმოოს ბრძოლა, არამედ უზრუნველი ჰყოს გამარჯვებაც. ლაპარაკი კი ამ უკანასკნელზეა. ხოლო აქ ხშირად ივიწყებენ, რომ ამისათვის ჩვენ ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სტრატეგია, ავსწონოთ ჩვენი საკუთარი და მტრის ძალები ცივი, მოანგარიშე ჭკუით, და არ გავიდეთ ბრძოლაში მხოლოდ იმისათვის, რომ პასივობის მთა ავაფეთქოთ, ან, როგორც ამბობენ ჩავაბათ პროლეტარიატი აქტიურ მოქმედებაში. ამის აღნიშვნა განსაკუთრებით სასარგებლოა იტალიელ ამხანაგებისთვის. მე რომ მინდოდეს ჰეკერტის და ტალჰეიმერის ენით იტალიაზე ლაპარაკი, მე თქვენ დაგიხატავდით ქვეყანას, რომელიც ომით არის დანგრეული, სადაც მუშათა კლასს უკვე ეჭირა ფაბრიკები, სადაც ცენტრისტებმა გასცეს მუშათა კლასი, სადაც ფაშისტები ეცემიან მუშების ტიპოგრაფიას, სწვავენ მუშათა სახლებს, და დავამთავრებდი: თუ ასეთ ქვეყანაში პარტია ვერ შესძლებს დაუყონებლივ შემოიკრიბოს პროლეტარიატი მტრის წინააღმდეგ შეტევაზე გადასასვლელად, ეს იქნება უმნიშვნელო პარტია, რომელსაც უეჭველად მსოფლიო ისტორია მსჯავრს დასდებს. მაგრამ თუ მიუდგებით იტალიას არა ამ ცრუ-რევოლიუციონური ფრაზეოლოგიის თვალსაზრისით, არამედ სალი შეხედულებით, ჩვენ ვიქნებით იძულებული ვსთქვათ ამაზე იგივე რასაც აქ ამხ. ზინოვიევი ამბობდა: მოიპოვეთ მუშათა კლასის ნდობა და მოემზადეთ ბრძოლისათვის.

აქ, კონგრესზე, არის სამი ჯგუფი, ან ტენდენციები, რომელთა გაუთვალისწინებლად არ შეიძლება ძალთა დამოკიდებულების სურათი დახატო ამ კონგრესზე. პირველ რიგში არის გერმანიის დელეგაცია, რომელიც ჩამოვიდა პირდაპირ მარტის ამბების ცეცხლიდან და რომელთა უკიდურესმა წარმომადგენლებმა შეიმუშავეს შეტევის თეორია. ამ ჯგუფს ეკუთვნის იტალიელი ამხანაგებიც, რომელნიც ჯერ კიდევ პარტიის სერრატის ჯგუფისაგან დაშორების შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებიან. ამას გარდა არიან კონგრესზე ამხანაგები, რომელნიც ფიქრობენ,—ამაზე სწერდა არა მარტო ლევი, არამედ კაპიტალისტური პრესა და დამოუკიდებელთა გაზეთიც,—რომ მარტის ამბები მოხდა აღმასრულებელი კომიტეტის ბრძანებით, და რომ ლევი იყო გარიცხული მოსკოვის ბრძანების აუსრულებლობისათვის. ზოგიერთი ამხანაგები ჩეხო-სლოვაკიის და საფრანგეთის პარტიიდან შეშინებული ამბობენ „შეიძლება, ჩვენც გვიბრძანონ აღმასრულებელი კომიტეტის სახელით რაიმე ამის მზგავსი და თუ ჩვენ ამას ვერ შევასრულებთ, ჩვენც გამოგვრიცხავენ პარტიიდან“. ამ სიტყვებით ისინი ამჟღავნებენ, რომ სრულებით ვერ იცნობენ ინტერნაციონალის სულს. არის მესამე მიმართულება, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ გვაქვს ჩვენი თეზისების იმედი.

ის ამბობს, რომ უბედურება იქნებოდა, თუ აღმასრულებელი კომიტეტი შეტევის სახელით იმოქმედებდა, ცოტად თუ ბევრად ხელოვნურ-მასიურ გამოსვლების საშუალებით და გასცემდა შესაფერ ბრძანებებს სხვადასხვა ქვეყნების მიმართ. სახელდობრ იმიტომ, რომ ჩვენ შევიქენით უფრო ძლიერი და ვისახავთ ამოცანად მასიური მოძრაობის ხელმძღვანელობას, სახელდობრ ამიტომ ჩვენი მოვალეობა არის ფხიზლად გავსინჯოთ მდგომარეობა ყოველ ქვეყანაში და მხოლოდ იქ, სადაც ეს შესაძლებელი და აუცილებელი, მთელი ჩვენი სიძლიერით გადავიდეთ შეტევაზე. აი, ამას გამოსთქვამენ ჩვენ მიერ აქ წამოყენებული თეზისები ტაქტიკის შესახებ. როდესაც ხედავ სერიოზულ საშიშროებას, რამდენადაც ის ამ მომენტში უმნიშვნელო არ უნდა იყოს, საჭიროა მისი ნათლად გამოაშკარავება, რომ მას მიექცეს ყურადღება.

რომ პირველი შეხედვით ზოგი ჩვენგანი აზვიადებს ამ საშიშროებას, ამას არ აქვს დიდი მნიშვნელობა. უფრო მეტად საშიშია გაუშვათ გაფრთხილების დრო და ვერ შევამჩნიოთ პროვოკაციის შესაძლებლობა. აი, სწორედ, ამით აიხსნება კამათის გამწვავება. როდესაც მე ვებაასებოდი ზოგიერთ ამხანაგებს, მე ვამჩნევდი, რომ ისინი ჩემს ვერ იგებენ, რომ ისინი ფიქრობენ, რომ მე უფროსი ვარ, ისინი უმცროსი, მათთვის მთელი საკითხი არის ტემპერამენტის საკითხი, მე ვეუბნებოდი ჩემს თავს: „უდიდესი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ვერ ამჩნევენ თვით საშიშროების ნიადაგს, რომ ისინი ვერ ითვალისწინებენ ვერც ნამდვილ ვითარებას, ვერც ამ გაფრთხილების დროებით ხასიათს.

ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენ გავიმარჯვებდით, როცა იმათ ვეუბნებოდით: „თქვენ ეხლა ჩამოიცილეთ ოპორტუნისტები, თქვენ ჯერ კიდევ იმყოფებით ამ ჩამოშორების გავლენის ქვეშ, მაგრამ შეხედეთ: ქვეყანაზე არსებობენ არა მარტო ოპორტუნისტები, არიან კლასები, არის კლასობრივი საზოგადოება, პოლიცია, არმია, განსაზღვრული ეკონომიური ურთიერთობანი, მუშების ერთი ნაწილი თქვენთან არის, მეორე ნეიტრალურია, მესამე—თქვენს წინააღმდეგ არის მთელი ოთხივე ქვეყანა, სადაც აქტიურად გზის გაკვლევა წარმოადგენს თქვენს ამოცანას.“

საჭიროა ლაპარაკი ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებზე. ხომ პირველი და მეორე კონგრესების ყველა რეზოლიუციები სრულიად შეურყეველნი რჩებიან, ხომ მთელი ჩვენი მოქმედება არის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ შეურყეველი ბრძოლა, მაგრამ ჩვენ ამოცანას სრულებით არ წარმოადგენს ოპორტუნიზმის მუდმივი თეორეტიული კიცხვა. ჩვენ უნდა პრაქტიკულად დავამარცხოთ კაპიტალისტური საზოგადოება, დავსცხეთ ზურგით მიწაზე ბურჟუაზია და სასიკვდილოთ დავჭრათ იგი. ამ ამოცანისათვის კი საჭიროა შევისწავლოთ სტრატეგიის ფხიზელი ენა რევოლიუციონურ ნებისყოფის, მწვავე ენას. ჩვენ ამას ვისწავლით და გავიმარჯვებთ.

ამხ. ტროცკის სიტყვის შემდეგ ამხ. ლენინი აცხადებს, რომ ამერიკის

დელეგაციისაგან შემოვიდა წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ.

შემდეგ კენჭი ორატორების სიის დახურვის წინადადებას იძლევა, მაგრამ კამათის შეწყვეტის წინააღმდეგია.

რამდენიმე დელეგატი ლაპარაკობს კამათის შეწყვეტის და გაგრძელების შესახებ. ამხ. ზინოვიევის და ამხ. ფრილენდის წინადადებით კრება წყდება ათი წუთით. სხდომის განახლების შემდეგ ამხ. ზინოვიევი წინადადებას იძლევა კამათი შეწყდეს და უკანასკნელი სიტყვა მიეცეს ამხ. რადეკს, შემდეგ კი საკითხი კენჭს ეყაროს. თუ რომელიმე დელეგაციას ექნება შესატანი ცვლილებები თეზისებში, ასეთი ცვლილებები უნდა კომისიას გადაეცეს. ამხ. ზინოვიევის წინადადებას იღებს კონგრესი და სიტყვა ეძლევა ამხ. რადეკს.

(შემდეგი იქნება)

ქრონიკა

◆ **არაგვიდან არხის გაყვანა.** 18 ენკენისთვეს კინო სექციამ გადაიღო რამოდენიმე სურათი არაგვიდან დაწყებული სარწყავი არხისა, რომელიც დამკიდი წესით გაყავთ მცხეთის ახლოს 3000 ათასი დესეტინა მიწის მოსარწყავათ. მუშაობას აწარმოებენ კომპარტიის წევრები, კურსანტები და წითელი ლაშქრის ნაწილები იმდენათ ენერგიულათ, რომ პირველ დღესვე დათხრილ იქმნა რამოდენიმე ვერსის მანძილზე სიღრმით ერთ არშინიანი არხი.

◆ **რკინის გზებზე.** ამიერ კავკასიის ს. ს. რესპუბლიკების რკინის გზებზე გამოცემულია შემდეგი ბრძანება, რომელიც ეხება მოსამსახურეთა მუშაობას: ბოლოს დროს ეჩნევა სამსახურში არა თავის დროს გამოცხადება და წასვლა, არა ერთხელ აღნიშნულა უკვე ამნაირი, საქმისადმი მოპყრობის დაუშვებლობა. ამით უკანასკნელათ წინადადებას ვაძლევ ყველა უფროსთ დააწესონ სასტიკი კონტროლი სამსახურში გამოცხადებისთვის და ყოველ კვირაში ორშაბათობით წარმოადგინონ სა ადმინისტრაციო სამსახურში სიები ყველა სამსახურში არა წესიერათ მოსიარულე აგენტებისა. წინადადებას ვაძლევ საადმინისტრაციო სამსახურის უფროსს დაუყოვნებლივ დაკეტოს ყველა შესავალი მართველობის შენობაში, გარდა საპარადო შესავალისა და დაეკისროს [illegible] შენობის მართველობის კომენდანტს თვალყური ადევნოს ამ წეს რიგის შესრულებას. ვაფრთხილებ ყველას, რომ რკინის გზაზე გამოცხადებულ სამხედრო წესების ძალით, ამ ბრძანების დამრღვევნი პასუხსაგებენ სამხედრო წესების შესაბამ გამოცემულ ბრძანების თანახმად.

თეატრი და ხელოვნება

თფილისის სახელმწიფო აკადემიური ქართული დრამის მსახიობთა საყურადღებოთ ცხადდება, რომ ვინც სამი დღის განმავლობაში არ გამოცხადდება, მათ წინააღმდეგ მიღებული იქნება რეპრესიული ზომები, ვინაიდგან ზოგიერთი ახალგაზრდების სამსახურში გამოუცხადებლობა შეუძლებელს ხდის სეზონისთვის ნორმალურ მზადებას.

აკადემიური თეატრის გამგე: ზარდალიშვილი.

—

სახელმწიფო დრამის თეატრის ქართული აკადემიური დასში თანამშრომლობის მსურველთათვის ოთხშაბათს, 28 ენკენისთვეს დილის 12 საათზე სცენაზე დანიშნულია გამოცდა. მსურველნი ამ თავითვე უნდა ჩაეწერონ თეატრის კანტორაში და გამოცდაზე გამოცხადდნენ დანიშნულ დროსა და ადგილს. თანამშრომელნი მიიღებენ დაწესებულ ულუფასა და ჯამაგირს.

სახელმწიფო დრამის თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგე მთავარი რეჟისორი: აკაკი ფალავა.

—

ოქტომბრის პირველ რიცხვებიდან ქ. თფილისში, ქუთაისში, ბათომში და ჭიათურაში გაიხსნება სახელმწიფო დრამატიული სკოლები. მასწავლებლებათ მოწვეულ იქნებიან საუკეთესო ძალები. სწავლის მსურველნი უნდა ჩაეწერონ თფილისში—სახელმწიფო დრამის თეატრის კანტორაში, ქუთაისში — ხელოვნების მუშაკთა კავშირში, ბათომში—„ოდი“-სთან, ხოლო ჭიათურაში—რეჟისორ ქორელთან. დაწვრილებითი ცნობები შემდეგში გამოქვეყნდება.

რესპუბლიკის სათეატრო განათლების გამგე აკაკი ფალავა.

სახელმწიფო საოპერო თეატრში სეზონი დაიწყება შაბათს პირველ ოქტომბერს. პირველ გახსნაზე დადგმულ იქნება „აბესალომ და ეთერი“ ოპერა ზ. პ. ფალიაშვილისა, ავტორის დირიჟორობით, განახლებული დადგმა რეჟისორის ა. რ. წუწუნავასი. 2 ოქტომბერს იქნება დადგმული: „ბორის გოდუნოვისა“ 4 ოქტომბერს —„რიგოლეტო“, 5 ოქტომ.—„ონეგინი“ 6 ოქტომ.—„ბალეტის სპექტაკლი“ მ. მორდკინისა და 7 ოქტომ.—„პიკის დამა“. წინასწარი გაყიდვა ბილეთების გამოცხადებულ ოპერებზე დაიწყობა 24 სექტემბერს.

—

სახელმწიფო სახალხო ოპერის გახსნა. პარასკევს 23 სექტემბერს მოხდება განათლების მთავარი მმართველობის სახელმწიფო სახალხო ოპერის სეზონის გახსნა. წარმოდგენები იწარმოებს ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლის სცენაზე. პირველად დაიდგმება „ფაუსტი“ მსახიობ ქ-ნის შულგინის რეჟისორობით, რომლის სახელი და სცენაზე გამოცდილება უზრუნველყოფს წარმოდგენების სრული წარჩინებით. ახლო მომავალში განზრახულია „რიგოლეტოს“, „დემონი“-ს და „თქმულება შოთა რუსთაველზე“-ს დადგმა

პარტიული ცხოვრება

ქ. ჭიათურა

18 აგვისტოს კომუნისტური კლუბის დარბაზში მოწვეულ იქნა სარაიონო პარტიული კონფერენცია.

დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები:

1. მიმდინარე მომენტი, 2. საორგანიზაციო საკითხები, 3. სამანდატო კომისიის არჩევა, 4. რაიკომიტეტის მოხსენება, 5. არჩევნები სარაიონო პარტკომის, 6 სამაზრო კონფერენციაზე დელეგატების არჩევა და 7. მიმდინარე საკითხები.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხ: თავმჯდომარედ: ი. ბურჯანაძე, თავმჯდომარის ამხანაგად ს. ქეიშვილი, მდივნად ამხ. ყ. ყორანი.

მიმდინარე მომენტზე გააკეთა მოხსენება ამხ. ან. ჩუბინიძემ, რომელიც თავის მოხსენებაში შეეხო ოქტომბრის გადატრიალებას, მის შემდეგ რევოლიუციის გამარჯვებას, ვრცლად დახატა დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა. აღნიშნა,—რომ სამხედრო ფრონტზე გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა რესპუბლიკას დღის წესრიგში წარმოსდგა სამეურნეო გამარჯვების საკითხი და იმედი გამოსთქვა, რომ ამ ბრძოლაში პროლეტარიატი გაიმარჯვებს ამ ფრონტზე ხელს შეუწყობს მსოფლიო რევოლიუციას.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია.

რუსეთის პროლეტარიატი გამოწრთნილი ხანგრძლივ ბრძოლაში კაპიტალიზმთან გაიმარჯვებს ეკონომიურ ფრონტზედაც ჩვენ ქართველი ამხანაგები მზათ ვართ ხელი შეუწყოთ ჩვენ უფროსს ძმებთან ერთათ ვაწარმოოთ ეს ბრძოლა.

გაუმარჯოს მესამე კომინტერნს, მსოფლიო რევოლიუციონერ მებრძოლებს: ამხ. ლენინს, ტროცკის, ზინოვიევს, სტალინს და მიხა ცხაკაიას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

ორგანიზაციულ საკითხებზე მოხსენებით გამოდის იგივე ამხ. ანდრო მთაჩრიძე, აღნიშნავს უმთავრეს პარტიული აღმშენებლობის ფორმებს და საჭიროდ სცნობს უფრო მეტად მუშაობის გაძლიერებას, ფართოდ მოწყობას კომუნისტურ იაჩეიკებისას, სადაც პარტიული წევრების და კანდიდატების გათვითცნობიერებას, პოლიტიკურად აღზრდა-განათლებას დიდი ადგილი დაეთმობა. მოხსენების შემდეგ ამხ. ჩუბინიძეს შემოაქვს წინადადება გაიგზავნოს მისალმებითი დეპეშა, საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს შემდეგი შინაარსი: 18 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ჭიათურის პირველი თავისუფალი რაიონული პარტიული კონფერენცია სალამს უძღვნის საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელს, ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც მედგრად იცავს მუშების და გლეხების მთლიან ინტერესებს და უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობას. ჩვენ პერიფერიებში მომუშავე ამხანაგები ფიცს ვსდებთ პირნათლად შევასრულოთ დღევანდელი მომენტის მიერ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობანი. გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას და მის ხელმძღვანელს კომინტერნს! გაუმარჯოს კომპარტიას!

რაიონული კომიტეტის სახელით მოხსენებას აკეთებს პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ლომაძე, რომლის მოხსენებაში გამოირკვა, რომ პარტიულ მუშაობას ხელს უშლიდა ძალების სიმცირე. თვით მას პარტკომის პასუხისმგებელ მდივანს, დაკისრებული ჰქონდა სხვადასხვა მოვალეობა, რის გამო მას აღარ შეეძლო იმდენი დრო და ყურადღება მიექცია პარტიულ მუშაობის გასაძლიერებლად. აღნიშნა, რომ საჭიროა გამოყოფა მცოდნე ენერგიულ პარტიულ ამხანაგებისა.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათიდან ირკვევა რომ, პარტიული მუშაობა რაიონში არ არის დამაკმაყოფილებელი და პარტკომის მდივანს ინსტრუქციის ძალით არ უნდა დაეკისრებოდა სხვა მოვალეობები. კამათის შეწყვეტის შემდეგ კრებამ სცნო რაიპარტკომის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად და გადავიდა მორიგ კითხვაზე: სარაიონო პარტკომის არჩევნებზე, რომელშიაც ხმის უმრავლესობით გავიდენ შემდეგი ამხანაგები: დ. ლომაძე, მ. ჩიტიშვილი, ა. პიოკაძე, ი. ბურჯანაძე, ს. ქეიშვილი, დევიძე და ჩ. ჩანიძე და მათ კანდიდატებათ ამხ. ნ. აჭარაძე და ვასილ ფხალაძე.

სამაზრო კონფერენციაზე გასაგზავნად დელეგატებად ხმის უმრავლესობით არჩეულ იქნენ ამხ. მიროტაძე და ჩიტიშვილი.

შურ. ხ. პ.

—

ხიდისთავი (გურია)

7 აგვ. შესდგა ხიდისთავის რაიონული ორგანიზაციის კრება. მოხსენება გააკეთა მომენტზე ამხ. თ. დოლიძემ. მან შეეხო დაწვრილებით მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციონურ მოძრაობას და აღნიშნა როლი კომუნისტური პარტიისა. მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა, ხიდის თავის კომპარტიის რაიონულმა კრებამ მოხსენება ამხ. თ. დოლიძისა მომენტზე და მის საერთო ხასიათზე ჩვენი პარტიის მიერ მსოფლიო ამოცანების გადასაჭრელად აღებულ გეზს სიტყვას აძლევს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე შეეწირება მსოფლიო პროლეტარიატის რევოლიუციას. ზიზღს და ბრძოლას უცხადებს ყველა ოპორტუნისტურ ნიადაგზე მდგომ „სოციალისტურ“ პარტიებს. შემდეგ კრებამ განიხილა ყველა საჭირბოროტო კითხვები, რის შემდეგაც მოხდა რაიონული კომიტეტის არჩევნები. კომიტეტში არჩეულ იქმნა ხუთი ამხანაგი: 1. პავლე კალანდაძე, 2. დ. კალანდაძე, 3 მ. მეგრელიძე, 4. თ სიხარულიძე 5 გრ. თალაკვაძე.

გადმაგი.

წარმოებითი პროფკავშირებში

საზოგადოებრივი კვების მუშაკთა კავშირში.

კავშირის მმართველობას ჰქონდა სხდომა ერთხელ, პრეზიდიუმს 5-ჯერ. გარჩეულ საკითხების ხასიათი უმეტესათ ნაწილათ ორგანიზაციულ ტეხნიკურია.

შრომის დაცვის განყოფილება. შრომის დაცვის კომისია მოწყობილია სამ წარმოებაში. 1-ლ სექტემბრისათვის 18 ასეთი კომისია მუშაობდა. ყველა ამ კომისიებს მიცემული აქვთ ინსტრუქციები, რომლის თანახმათ მუშაობენ. კავშირის უმუშევარ წევრებიდან სამუშაოდ გაგზავნილია 116 კაცი. ამბულატორიიდან დახმარება აღმოჩენილი აქვს 80 კაცს. მიცემულია 62 ოთახი კავშირის წევრთათვის, რომლებიც ესაჭიროებოდათ ბინა. მძიმე სამუშაოდან უფრო ადვილ სამუშევარზე გადაყვანილია 2 (ქალები). საერთო წესით შვებულებაშია 201 კაცი. სპეციალური დახმარება აღმოჩენილი აქვს 2—წევრს.

საკონფლიქტო ქვეგანყოფილება. გარჩეული და გადაწყვეტილია 10 საქმე მუშების სასარგებლოთ.

მომარაგების განყოფილება. კავშირის ყველა წევრი დაკმაყოფილებულნი არიან საპონით მარიამობის თვის ანგარიშით. 83 მთხოვნელიდან ტანსაცმლით და ფეხსაცმლით დაკმაყოფილებულია 25 უფრო გაჭირვებულნი.

კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება. მოწყობილია ერთი მიტინგი. აგვისტოს განმავლობაში მუშათა ცენტრალურ კლუბში ჩაეწერა კავშირის 10 წევრი. მოწყობილია 20 კულტურული უჯრედები. სადაჩო მოედნებზე გაგზავნილია მუშების 17 ბავშვი.

სატარიფო სანორმო განყოფილება. გატარებულია ტარიფი 10 წარმოებაში 165 მუშით. და მოსამსახურებით. და ზედმეტი სამუშაოსთვის 25 წარმოებაში 375 მუშით და მოსამსახურეებით. პირველი სექტემბრისათვის რეგისტრაციაში გატარებული იყო 80 წარმოება და 1870 კაცი.

კავშირის მიერ მოწყობილია, პირველი ყრილობა, რომელზედაც ამორჩეულ იყო მმართველობა, სარევიზიო კომისია და მომავლისათვის დასახული იყო მთელი რიგი პრაქტიკული ნაბიჯები.

მეტყევეთა კავშირი.

მმართველობას ჰქონდა 2 სხდომა. გარჩეულ იქმნა 10 საკითხი. ამათგან საორგანიზაციო 5, ეკონომიური 3, კულტურული 1 და სხვა 1.

პრეზიდიუმს ჰქონდა 5 სხდომა, რომელზედაც გარჩეულ იქნა 23 კითხვა მათ შორის 7 საორგანიზაციო, 8 ეკონომიური, 3 სატარიფო, 2 კულტურული და 3 სხვა 1—5 აგვისტომდე კავშირს ჰქონდა საბ. საქართ. მეტყევეთა ყრილობა, სადაც ამორჩეულ იყო ცენტრალური მმართველობა და გამომუშავებული მომავალი მუშაობის გეგმა. ყრილობის მიერ ამორჩეულია საქ. საქართველოს წარმოებითი პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა ტერ-მინასოვი, ჭარიაკოვი, კობიაშვილი, ხარჯუშიანი და ტრადატიანი (5 კაცი პრეზიდიუმში) გოთოლიძე, ბეკეტოვი, მირიკახაშვილი, ოგანეზოვი, დაგნიძე, გასპაროვი, ოსიპოვი, მახვილოვი (ბათუმი) განკელიძე (ფოთი) ბირგოლაძე (გორი). კანდიდატებათ: ისაკიანი, ბარახოვიჩი, ზურაბოვი, ჯნუნიძე, სააკოვი, კალანტაროვი, ქართველიშვილი, სარევიზიო კომისიაში.

ყველა წარმოებაში გატარებულია ტარიფი და ჯამაგირი ეძლევათ თანახმათ გამომუშავებული ტარიფის და სამუშაო ნორმისა. რამოდენიმე წარმოებაში გატარებულია პრემიალური სისტემა სამუშაოზე საკონფლიქტო ქვეგანყოფილების მიერ გარჩეულია 11 წარმოების სხვა და სხვა კონფლიქტი. გახსნილია [illegible] სკოლები სამხედრო ფეხსაცმელო სახელოსნოსთან, სადაც სწავლობს 66 კაცი. მეცადინეობა მიმდინარეობს ქართულ და სომხურ ენებზე. ყველა წარმოებაში არის კულტურული უჯრედები რიცხვით 12.

კავშირთან არსებობს ბიბლიოთეკა 309 წიგნით, რომლითაც სარგებლობენ კავშირის წევრები.

გამართულია 4 წარმოდგენა, 4 კონცერტი, კონცერტ-მიტინგ-წარმოდგენა გამართულია ვოლგის მხარის დამშეულ გლეხთა სასარგებლოთ. მუშათა კლუბში ჩაწერილია და ესწრებიან 800 კაცი. გამოყოფილია სხვა ქალაქელი ინსტრუქტორები პროვინციებთან კავშირის დასაჭერათ. განყოფილებას ჰქონდა 13 სხდომა ფაბრიკა ქარხნებში, მათი კომიტეტებთან ერთად. კავშირზე ითვლება 8 სახლი, სადაც აგვისტოს განმავლობაში ჩასახლებულია 21 ოჯახი და გადასახლებულია სპეციალურ ოთახებში 100 ოჯახამდე.

შრომის დაცვის განყოფილებას აქვს ყველა წარმოებებში უჯრედები. ეკონომიური განყოფილება მარიამობის თვეში ზრუნავდა მხოლოდ, წარმოების გაერთიანებისათვის საბჭოთა პირველ ფეხსაცმელების სახელოსნოში. განყოფილების გამგის მიერ გამომუშავებული იყო მთელი რიგი ზომებისა სახელოსნოს მუშაობის გაერთიანებისათვის, როგორც მაგალითად: სასტიკ დისციპლინა. სახელოსნოში, ადგილობრივი კომიტეტის გადასინჯვა, მუშების სახლზე სახელოსნოს დამაგრებისა, ტანთ საცმელი და სხვ. რომელიც უკვე მიღებულია გამგეობის მიერ და ცხოვრებაში ტარდება. პრეზიდიუმის დადგენილებით დავალებული აქვს ეკონომიურ განყოფილებას მოაწყოს შემკეთებელი მეორე სახელოსნო რკინისმჭრელთათვის. ამ ჟამათ მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა სახელოსნოს მოწყობისათვის. განყოფილების მიერ სწარმოებს მუშების აღრიცხვა და განაწილება. განყოფილება მონაწილეობს სატყეო განყოფილების კოლეგიის სხდომებზე და მასთან ერთად იმუშავებს პროექტებს ნედლი მასალის შესაძენათ და ტყის წარმოების ასაწყოთ. გასულ თვეებისათვის მომარაგების ქვეგანყოფილების მიერ განაწილებულია ტანსაცმელი და საპონი.

სამთამადნო მუშების კავშირი.

გამგეობას (საორგანიზაციო ბიურო) აგვისტოში ჰქონდა 4 სხდომა. განხილულ იქნა 28 საკითხი, უმთავრესათ საკითხები წარმოების მოწესრიგების და მომარაგების შესახებ, სატარიფო, კულტურულ განმანათლებელი საკითხები და სხვა. კავშირის მოწყობა თბილისში დამთავრებულია ადგილობრივი კომიტეტები მართავენ საერთო კრებას 2 კვირაში ერთხელ, არის კავშირი პროვინციასთან რესპუბლიკის. ტერიტორია გაყოფილია ოთხ რაიონათ: ტყიბულის, ჭიათურის, ძირულის და თელავის. დადგენილია, რომ ყველა ნავთის წარმოებანი მათი გაბნეულობის გამო შეერთებულ იქნეს მომავალ სრულიად საქართველოს ყრილობ. მონაწილეობისათვის, უკანასკნელი ცნობების მიხედვით წარმოების მდგომარეობა გამოიხატება შემდეგში: ნავთის წარმოებებში დამაკმაყოფილებელია, ცეცხლის მძლე თიხის მწარმოებელ მაღაროებში ფრიად დაკმაყოფილებულია. შავი ქვის წარმოება გაჩერებულია ნედლი მასალის უქონლობის გამო. ქვა ნახშირის წარმოება, იმყოფება ფრიად ცუდ პირობებში საჭირო მასალის და მუშების არ ყოლის გამო.

მომარაგების ქვეგანყოფილების მიერ მიღებულია მთელი რიგი ზომებისა მუშათა მოსამარაგებლათ, მაგრამ ფაქტიურათ არაფერი არ არის გაკეთებული. ქვეგანყოფილების მიერ გამოყენებულია ყველა ძალები, სწარმოებს ბრძოლა შრომის დეზერტირობის წინააღმდეგ. კვალიფიციური მუშების ნაკლებობის გამო, სანავთო წარმოებაში, გაგზავნილია სპეციალური კომისია ბაქოში, იქაურ მუშების მოსაწვევათ.

სატარიფო სანორმო განყოფილება ღებულობს ზომებს პრემიალური სისტემის შემოღებისთვის. ქალაქში ტარიფი გატარებულია და პროვინციაში ჯერ კი არა.

კულტურულ განმანათლებელი განყოფილება რეგულიარულათ აწვდის ადგილობრივ კომიტეტებს პერიოდულ გამოცემებს. დიდი ნაკლებობაა ლიტერატურაში პროფესიონალური კითხვების შესახებ.

საქართველოს წითელ ლაშქარში

განმანათლებელი მუშაობა

◆ თავის მოკლე ხნის არსებობაში ქართულ წითელ ლაშქრის პოლიტ. განყოფილებამ ძალიან გაფართოვა თავისი ორგანიზაციული მუშაობა. სთვლის რა წითელ არმიელთა შორის მჭიდრო ამხანაგურ კავშირის დამყარებას და მათში თვით მოქმედების განვითარებას პირველ საჭიროების საქმეთ პოლიტიკურმა განყოფილებამ გამოიმუშავა დებულება წითელ არმიელთა კლუბებისა, რომლითაც მათი მოწყობა თანხმობით ნაწილებში შეუძლიათ სამხედრო კომისრებს, პოლიტიკურ განმანათლებელ კომისიებს, კომუნისტურ იაჩეიკებს და ნაწილის წითელ არმიელთა საერთო ყრილობას. რაიონულ კლუბების გახსნა შეიძლება თუ იქ შესამჩნევი მასა წითელ არმიელებისა ბინადრობს, ამასთანავე ამ კლუბებმა უნდა ხელი შეუწყონ კლუბების ცენტრალიზაციას, ცალ-ცალკე ნაწილებში კლუბების თანდათანობით გაუქმებით. თავის მუშაობაში წითელ არმიელთა კლუბები ხელმძღვანელობენ წითელ-ლაშქართა კლუბის წესდებით, რომელიც დამტკიცებულია ლაშქრის პოლიტიკურ განყოფილების მიერ.

ჯავშნიან მატარებელზე მისმა გუნდმა გამართა წარმოდგენა ვოლგის დამშეულთა სასარგებლოთ. დადგმულ იქნა სამი პიესა: „დიდ გზაზე“, „ღამე მეჯავრის წინ“, „ჩხილი ლუკა“. ვაგონი, რომელშიაც კლუბი იმყოფება და იმართება მიტინგები და სალამოები, მოუწყობელია და თხოულობს შეკეთებას. კლუბთან მოწყობილია სამკითხველო და სკოლის სექცია. სპეციალური საგნების უქონლობა აბრკოლებს სკოლის სექციის მუშაობას. სამკითხველოში მოიპოვება 720 ნომრამდე წიგნი. მოწყობილია აგრეთვე წრეები: თეატრალური, მუსიკალური და ფიზიკური ვარჯიშობისა.

ჯავშნიან მატარებელზე „პროლეტარის დიქტატურა“, კლუბის საქმე ფრიად სუსტად არის დაყენებული: არ არის ბინა, არ არის სცენა. ვაგონი ძალიან პატარაა მსახიობებს იწვევენ თბილისიდან. ერთი სიტყვით ეჩნევა დიდი მოთხოვნილება კლუბის გაფართოვების საქმის.

„წითელ კომანდირის სამდღეული“ ქართულ ლაშქარში

კვირას, 11 ენკენისთვეს, წითელ არმიელთა ცენტრალურ ქართულ კლუბში გაიმართა მიტინგ-კონცერტი, სადაც ამხ. კვირიკაძემ გააკეთა მოხსენება „წითელ კომანდირების როლზე და მნიშვნელობაზე ჯარში“. ორშაბათს და სამშაბათს ქართულ წითელ არმიელთა ყველა ნაწილებში, პოლიტიკურ განყოფილების საუკეთესო ძალებმა წაიკითხეს მოხსენება იმავე თემაზე, მოხსენებელნი აღნიშნავდნენ თვით წითელ არმიელების კურსანტების რიგებში ჩაწერის საჭიროებას. დამსწრე მუშები და წითელ არმიელები თანაგრძნობით შეხვდნენ მოწოდებას და გამოსთქვეს სურვილი გამოჰყონ საუკეთესო ამხანაგები, რომლებიც კურსების დამთავრების შემდეგ დანარჩენებისთვის მაგალითს წარმოადგინენ. ბევრმა მოისურვა მაშინვე ჩაწერა.

პროვინციაში

ს. კაპანა (ქვათანის თემი)

ს. კაპანა დაბა აბაშას დაშორებულია ორი ვერსის მანძილით, ხსენებული სოფელი შედის ქვათანის თემში და შედგება 120 მოსახლეობისაგან. ს. კაპანის მიწის მუშები ყოველთვის განიცდიდენ მიწის სივიწროვეს, რის გამოც მათ უხდებოდათ „ანჯილში“ და „ნაოჩუში“, წასვლა სამუშაოდ ხსენებული ადგილები დაშორებულია სოფელს პირველი 8 ვერსით და მეორე 15 ვერსით ამის გამო ს. კაპანის მიწის მუშები გაწვალებული იყვნენ ხოლმე, 1917 წ. რევოლიუციამდი მათ არ ამ სიმწარეზე მდიდარე მიწებიც არ ქონდათ. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ მენშევიკების ხელშიც მათ ვერ შეძლეს მიწის შეძენა, რომლისთვის იბრძოდა საერთოდ მთელი რუსეთის პროლეტარიატი და მიწის მუშები. მენშევიკებმა მიწები სავაჭროდ გახადეს, ბაჟები დაადეს; ისე რომ ღარიბ მუშას ვერ შეეძლო მისი შეძენა და მოვლა. წელში მოღუნული ილაჯგაწყვეტილი რჩებოდა, რაც მიზეზი იყო გაძლიერებული ბრძოლის მენშევიკების წინააღმდეგ. 1921 წ. მარტისთვეში მოხდა კომუნისტური გადატრიალება. საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი დეკრეტით მშრომელთ მისცა მიწები უფასოდ. ნაცვლად დღევანდელი მთავრობა ხელს უწყობს მიწის დამუშავებაში, ს. კაპანის მცხოვრებლების მიერ „ანჯილი“ „ნაოჩუში“ დღეს ყველა დათესილია. ხალხის ეკონომიური მდგომარეობა კრიტიკული იყო. დარჩა ერთი თვე გადასატანი კიდევ. დამშეულთა რამდენიმეც შესძლო დახმარება გაუწია ადგილობრივმა თემის რევკომმა. ასე თუ ისე კაპანის მცხოვრებნი ამ სიმშილს გადაიტანდენ მომავალი მოსავლის იმედით, რომლისაც ჯერჯერობით გვარიანი პირი უჩანს. გახვლილმა გვალვამ ხალხი ჩაგდო დიდს საგონებელში მაგრამ ეს არის უკვე წვიმებაც მოვიდა და გვალვ საგან დამწვარი ყანები გამოცოცხლდა.

ს. კაპანში გადის ერთი მთავარი გზა, რომელიც აერთებს დაბა აბაშის ბანძასთან, მაგრამ გზა ძლიერ გაფუჭებულია. მიტომ გადაწყვიტეს აუცილებლად შეუდგენ მუშაობას ამ დღეებში. ამ სოფელშივე არსებობს კომპარტიის იაჩეიკა რომელიც ენერგიულად აწარმოებს პარტიულ მუშაობას.

წარსულ კვირაში მოხდა პარტიის გაწმენდა არა სასურველ ელემენტებისაგან და ზოგნი სოფლებიდან განდევნილი იქნენ პარტიიდან. ხალხი კომუნისტურ პარტიას უყურებს ნდობის თვალით.

2 აგვისტოს ს. კაპანაში იქნა მოწყობილი წარმოდგენა ადგილობრივი კომიაჩეიკას ხელმძღვანელობით. წარმოდგენას ხალხი საკმაო დაესწრო წარმოდგენით ხალხი კმაყოფილი დარჩენ

19 აგვისტოს ამხ. კლიმენტი ცომაიამ წაიკითხა ლექცია, თანამედროვე მომენტზე. ლექციას დაესწრო ს. კაპანის მცხოვრები ყველა ქალი და კაცი. ამხ. კლიმენტი ცომაიამ მკაფიოდ აუხსნა ხალხს დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობის სიმწვავე და პოლიტიკური სირთულე. აღნიშნა რუსეთის პროლეტარიატის და წითელი არმიის მედგარი ბრძოლა რეაქციონერების წინააღმდეგ, მათი ბლევა რუსეთის მიდამოებიდან, და მოუწოდა ხალხს საბჭოთა მთავრობასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძოლოს კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ და არ აყვენ არავითარ პროვოკაციას, რომლისაც სოფლებში ავრცელებენ სოციალ გამყიდველები.

ამხ. კლიმენტი ცომაიას სიტყვა ხალხმა ტაშის ცემით დააჯილდოვა. სასურველია ასეთი ლექციები და წარმოდგენები ხშირად იმართებოდეს.

ს. კაპანში არსებობს სამკითხველო რომელიც იყო დაარსებული 1917 წელს, მაგრამ შეიძლება ითქვას რომ ხალხს მენშევიკების დროს იქ არც ერთი ფურცელი გაზეთი და ბროშურები არ უხილავთ. ეხლა კი ყოველი დღე ღიაა ჩვენი სამკითხველო და ხშირად ყოველ საღამოს ნახავთ გაზეთის მკითხველ მუშებს. ადგილობრივი კომ იაჩეიკის მეთაურობით იქნა სამკითხველოს ეზოც შეკეთებული.

დღეს ს. კაპანის მცხოვრებნი დაინტერესებულნი არიან სოფელ კაპანაში ააშენონ სკოლისათვის შენობა. მართალია დღეს შენობის აგების საქმე იოლი არ არის, მაგრამ ძალა ერთობაშია და გაერთიანებული ხალხი რას ვერ შესძლებს. მოუწოდებ ამხ. სოფ. კაპანის მუშებს და სკოლის დამაარსებელ კომისიას ამ საქმისადმი გამოჩენილი ენერგიით მუშაობას—ერთი მაგარი დაკვრა და სკოლაც აშენდება, მაშ მედგრად ამხანაგებო!.

ნოღელახპირელი.

—

აბაშა

21 აგვისტოს, „ნორიოში“ შესდგა ქვათანის თემის მიტინგი, მიტინგზე იყო მოწვეული ხალხი შემდეგი სოფლებიდან: საჩხიიდან, საგვაზო—საბო კუჩხოდან და მეცხვარის—კარ დან მიტინგი გაიხსნა საღამოს 5 საათზე. თავმჯდომარეთ იქნა არჩეული მექი გვარამია, მდივნათ ომა ჩიჩვა. მოხსენება გააკეთა სამაზრო პარტკომის ინსტრუქტორმა ამხ. პეტრე ნადარეიშვილმა, რომელმაც გაარკვია მიმდინარე მომენტი ვრცლად; შემდეგ გადავიდა საერთაშორისო,—ეკონომიურ და პოლიტიკურ—მდგომარეობის დახასიათებაზე. გადმოუშალა მიტინგს საერთო პირობებიდან შექმნილ ცხოვრების ძნელი სურათები, და უჩვენა მათ აქედან გამოსავალი ის გზა, რომელსაც კომუნისტები ადგიან. ხალხი კმაყოფილი დარჩა მოხსენებით.

დასასრულ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ ქვათანის თემის ხალხი ფიცსა ვდებთ მტკიცეთ დავიცვათ საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც გვგანთავისუფლა ჩვენ მშრომელები და რომელიც ბურჟუაზიის ბრჭყალებში ჩავარდნილ მსოფლიო მუშათა კლასის ხსნისთვის არის მოვლენილი, გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა სულის ჩამდგმელს და საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციის ბელადს ამხანაგ: ლენინს და ტროცკის.

გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

მექი აბაშელი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

სასურსათო საბჭოს

დადგენილება

1921 წლის 16 სექტ. თარიღით.

საქართველოს რევკომის სასურსათო გადასახადის შესახებ ყველა დეკრეტების უფრო სრული, მიზან შეწონილი და სწრაფი განხორციელებების უზრუნველყოფის მიზნით ადგილობრივად, სასურსათო თათბირი ადგენს:

1. სასურსათო გადასახადების შესახებ საქრევკომის დეკრეტების დაუყონებლივი, მიზანშეწონილი და რაც შეიძლება ნაყოფიერი გატარებისათვის ცხოვრებაში, დაქვემდებარებულ რაიონში მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება სამაზრო სასურსათო კომისიებს მთლიანად და პირადად ასეთების წევრებს, კომისიის და მისი წევრების დადგენილებათა და განკარგულებების არა მარტო ფორმალური სისწორისათვის, არამედ აგრეთვე ასეთების შედეგებისათვის მათი მიზანშეწონილობის მხრივ, და აგრეთვე თანამშრომელთა მოხერხებულ შერჩევისათვის ადგილობრივად და მათი მოქმედების შესაფერ ხელმძღვანელობისათვის:

2. მიენდოს სურსათის სახალხო კომისარს, მოახდინოს სასურსათო გადასახადის დეკრეტების ცხოვრებაში სასწრაფო გატარებისათვის საჭირო ყველა სასურსათო მუშაკების მობილიზაცია, რომელნიც ეხლა იმყოფებიან სამსახურში საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა და საზოგადოებრივ დაწესებულება წარმოებებში; მიეწეროს დასახელებულ დაწესებულებებს და წარმოებებს განთავისუფლონ ასეთები სამსახურის მოვალეობათა ასრულებისაგან, სასურსათო კომისარიატის პირველივე მოთხოვნისთანავე;

3. მიენდოს იმავე სასურსათო კომისარს, სასურსათო გადასახადის სახით აღებულ სასურსათო პროდუქტების სწრაფი გადაზიდვისათვის, მოახდინოს ყველა გადამზიდავ საშუალებათა მობილიზაცია ს. ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მიეცეს მას წინადადება სარკინიგზო ტრანსპორტის მოსაგვარებლად შეუთანხმდეს ამიერ. კავკასიის რკინის გზათა უფროსს; შარა გზის ტრანსპორტის საკითხის შესახებ, პირველ რიგში მოთხოვნილ იქნეს საურმე ბეგარის დეკრეტის განხორციელება სასურსათო საჭიროებისათვის.

4. დაევალოს ყველა სამაზრო რევკომებს, როგორც უმაღლეს ადგილობრივ ხელისუფლებას, ადგილობრივი სასურსათო ორგანოებს გაუწიონ მეტად ფართო და დაუყონებლივი დახმარება მათ სასურსათო მუშაობაში, ს. ს. ს. რესპუბლიკის რევკომის სასურსათო დეკრეტების განსახორციელებლად და უშუალოთ მიიღონ, სადაც საჭიროებულია, მეტად ენერგიული ზომები ასეთების ადგილობრივად ცხოვრებაში გასატარებლად.

სასურსათო თათბირის თავმჯდომარის მაგიერ ს. ქავთარაძე

სურსათის სახალხო კომისრის მაგიერ ერქომაიშვილი

კავკასიის ცალკე ლაშქრის მესამე წლის თავის დღესასწაული

დღე იყო საუცხოო დილიდანვე ქალაქის ქუჩებში მუსიკით დაიწყო დენა ჯარის ნაწილებმა თავისუფლების მოედნის მიმართულებით. ქუჩები, რომლებზედაც სწარმოებს მთავარი მოძრაობა, წარმოადგენდა ლამაზ სანახაობას: სახლები მორთულია დროშებით, პლაკატებით და ვებერთელა პანოებით; მწვანე მცენარეობის გირლიანდები და დროშები ამშვენებენ დიდ შენობებს.

თავისუფლების მოედანზე.

დილის 9 საათიდან თავისუფლების მოედანზე დაიწყო თავის მოყრა კავკასიის ცალკე ლაშქრის ნაწილებმა, რომლებიც დაეწყვენ თვით მოედანზე და სოლოლაკის ქუჩაზე. 11 საათზე მოედანზე მოვიდა კავკასიის ცალკე ლაშქრის უფროსი ამხ. გეკკერი. ამავე დროს ტრიბუნასთან, რომელიც ამართულია მოედნის შუა გულში, მივიდნენ საქართველოს რევკომის, საქართველოს კომ. პარტიის ცენტ. კომიტეტის, რ. კ. პ. კავბიუროს წევრები და სხვანი. ამხ. გეკკერმა, რომელსაც შეხვდა ამხ. გოლუბევი, კურსანტების ბრიგადის უფროსი, ამხ. ელიავას თანხლებით შტაბიდგან ჩამოუარა ნაწილებს და მიესალმა მათ, რის შემდეგაც ავიდა ტრიბუნაზე.

ამხ. გეკკერის სიტყვა.

ამხანაგნო წითელ ლაშქრელებო! მე მივიღე დეპეშა რუსეთის რესპუბლიკის რევოლიუციონურ საბჭოსაგან, რომლითაც კავკასიის ცალკე ლაშქარს ულოცავს მის სამი წლის არსებობას, გაუმარჯოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს. გაუმარჯოს წითელ ლაშქრის ბელადს ამხ. ტროცკის. „ვაშა“

ჯარები უპასუხებენ „ვაშას“ ძახილით. ორკესტრები ასრულებენ ინტერნაციონალს.

საქართველოს რევკომის სახელით დროშის მირთმევა. ამხ. ქავთარაძის სიტყვა.

ტრიბუნაზე აქვთ დროშა და მას შლიან. მისი ტარი მუშა გლეხთ კავშირის ემბლემით—ცელით და ჩაქუჩითაა მოქარგული. დროშის ფარჩა ვერცხლითაა ნაკერი. ცენტრში ცელი და ჩაქუჩი. ქვემო კუთხეში წარწერაა: „კავკასიის ცალკე ლაშქარს, რუსეთის მუშურ გლეხურ წითელ ლაშქრის ერთ-ერთ ძლიერ რაზმს, დამონებულთა განმანთავისუფლებელს“.

— კავკასიის ცალკე ლაშქრის სახელოვანო, მამაცო, მებრძოლნო,— იწყებს თავის სიტყვას ამხ. ქავთარაძე —დღევანდელი დღე თქვენი დღესასწაულია. სამი წელიწადი გაიარა მას შემდეგ, რაც თქვენ წითელ დროშით ბრძოლის გზაზე მსოფლიო კონტრ-რევოლიუციისა, მსოფლიო რეაქციის წინააღმდეგ. 3 წლ. განვლო შებრძოლებებისა, ტანჯვისა, მუშათა და გლეხთა მტრებთან. ჩვენ საქართველოში გაფაციცებული გულის ყურით თვალს ვადევნებდით, თქვენს ბრძოლას და როდესაც თქვენი დროშები გამოჩნდა აქ,—ჩვენი გული გაიღო და ხელები თქვენსკენ გამოვიწოდეთ. ბედნიერნი ვართ, რომ აქ, საქართველოს ცენტრში, ჩვენ შეგვიძლია თქვენს ძალოვან გულს მივეკრათ. კავკასიის ცალკე ლაშქრის მებრძოლნი ამხანაგებო! ჩვენ ვიცით, რომ თქვენი ბრძოლა დენიკინთან და სხვა კონტრ-რევოლიუციონურ გენერლებთან—ეს მუშათა და გლეხთა ბრძოლაა მშრომელთა გასანთავისუფლებლად. მით უმეტეს ჩვენ ყურადღებით თვალს ვადევნებდით თქვენი ბრძოლის შედეგს, ვინაიდგან ვიცოდით, რომ თქვენი დამარცხება გვიქადის ჩვენ ანტანტის მონობას და ჩაგვრას. თქვენი ბრძოლა კავკასიის კიდეებზე და აგრეთვე თბილისთან ითვლებოდა, როგორც ბრძოლა ჩვენს გასანთავისუფლებლად. ეხლა ვდღესასწაულობთ რა თქვენს გამარჯვებას, რომლის წყალობით ჩვენ განვთავისუფლდით, საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის სახელით თქვენ გადმოგცემთ მშრომელთა მასების ბრძოლის დროშას,—საქართველოს რევოლიუციის საუკეთესო შვილთა სისხლით შეღებულს დროშას. დეე ეს დროშა იყოს გამარჯვების საწინდარი, დეე მომავალ ბრძოლებში იგი ხელმძღვანელ ვარსკვლავად იყოს თქვენთვის, ხოლო მშვიდობიან გარემოებაში დეე თავის შრიალით გეამბოს თქვენი მამაცობის, თქვენი გმირობის შესახებ. ამ დროშას გადმოგცემთ რა თქვენს მამაც სარდალს ამხ. გეკკერს, დარწმუნებულნი ვართ, რომ იგი მოიფინება იმავე ქება დიდებით, როგორც თქვენი ძველი ბრძოლის დროშები.

ათავებს რა სიტყვას, ამხ. ქავთარაძე აწვდის დროშას ამხ. გეკკერს, რომელიც ინტერნაციონალის დაკვრის დროს გადასცემს მას სამხედრო დარაჯს.

— გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას და რევოლიუციონურ მთავრობას. ვაშა—იძახის კავკასიის ცალკე ლაშქრის უფროსი, რომლის ძახილს ძალუმად იმეორებენ ჯარის მწკრივები.

ჩვენი ფოსტა

პროვინციის პარტორგანიზაციების პასუხისმგებელ კორესპონდენტებს და პასუხისმგებელ პარტმუშაკთ

მოგვაწოდეთ კორესპონდენციები მიმდინარე მუშაობის შესახებ პარტიული, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებიდან. რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია, სწორი და დასაბუთებული. განდევნეთ კორესპონდენციებიდან ეგრედწოდებული „თეორია“ და ფრაზა.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3-ე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52

— მე-5-ე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია

განცხადებანი

განცხადებანი მიიღება მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

ს. კ. პ. ც. კ. ქალთა განყოფილება აცნობებს ამხანაგებს სიღნაღის ქალთა განყოფილების გამგის, ძვირფას ამხანაგის

მარიამ აპოფაშვილის გარდაცვალებას

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

განუსაზღვრელად გამწარებულნი დაობლებულნი დედამა პელაგია და დიმიტრი, ძმები საშა და დათიკო ბზიავები გაუწყებთ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 18 სექტემბრის ღამის თერთმეტ საათზე არა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ შეუბრალებელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვტაცა ჩვენი სანუგეშო და ჩვენი საიმედო შვილი

მეგი (მარიამ)

ცხედრის გამოსვენება მოხდება პარასკევს 23 სექტემბერს დილის თერთმეტ საათზე ბინიდან ქაშვეთის ეკლესიაზე და ამავე დღეს სამ საათზე პროცესია გაემართება დიდუბის სასაფლაოზე დასაკრძალად ყოველდღე საღამოს ექვს საათზე პანაშვიდი იქნება საკუთარ ბინაზე.

თბილისის სამაზრო მუშურ გლეხური ინსპექციის გ. ნ. თბილისის მაზრის მუშურ გლეხური ინსპექცია ამით აცხადებს, რომ თბილისის მაზრის მუშურ გლეხური ინსპექციის მისი საჩივართა ბიურის ქვეგანყოფილებით, ქალაქის მუშურ-გლეხურ ინსპექციისადმი შეერთების გამო, ამის გამოცხადებიდან ყოველგვარი საჩივრები და განცხადებანი მიიღებიან ქალაქის მუშურ გლეხურ ინსპექციაში, ყოფილ ქალაქის გამგეობის შენობაში (თავისუფლების მოედანი).

პარტიული

შაბათს, 24 სექტემბერს საღამოს 6 საათზე მეოთხე რაიკომის შენობაში—ოლღას ქუჩა, 29, შესდგება კრება მე 4 რაიონის მდივნების, რაიონის კომისარიატებთან მიჩენილ ამხანაგებისა. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა. ვინც არ დაესწრება გადაეცემა პარტიის გამწმენდ კომისიას, როგორც პარტიულ დისციპლინის დამრღვევი.

პასუხ. მგებელი მდივანი (ხელმოწერილი).

სხვა და სხვა

— სახელმწიფო საოპერო თეატრში იძლევა ქირით 1921—22 წ. სეზონში თეატრის ბუფეტები და საკონდიტრო. მსურველთ უნდა შემოიტანონ განცხადებები დაბეჭდილ პაკეტებით თეატრის გამგის სახელზე, პაკეტზე ზედწარწერით „ბუფეტის იჯარა“, „საკონდიტროს იჯარა“. პირობების გაგება შეიძლება თეატრის კონტორაში. განცხადებები მიიღება ამა წლის 26 სექტემბრის დილის 10 საათამდე.

— სახალხო განათლების კომისარიატისათვის საჭიროა გამოცდილი და კარგად დახელოვნებული მანქანაზე გადამწერნი სასურველია ქართულს და რუსულ ენებზე წერის ცოდნა. მსურველთ უნდა მიმართონ: სახალხო განათლების კომისარიატში, (ლორის-მელიქოვის ქ. № 5).

— კომუნალურ განყოფილების საამშენებლო სასანიტარო სატეხნიკო ქვეგანყოფილების სამეურნეო სექციისათვის საჭირონი არიან: [illegible], დურგლები, კალატოზები, ხუროები, მეთუნეები, მღებავენი, მექანიზმები, მოძრავენი, ქუჩის მომკირწყლელნი და მუშები. ცნობებისათვის მიმართეთ სამეურნეო სექციის მადათოვის კუნძულზე, ქ. ცეიხგაუზში.

— კომუნალურ განყოფილების საამშენებლო სასანიტარო-სატეხნიკო ქვეგანყოფილების საქმეთა წარმოებისათვის საჭიროა მდივანი, რომლისათვის სავალდებულოა ქართული ენის ცოდნა. ცნობებისათვის მიმართეთ კოლეგიის წევრს ამხ. ტ. ა. მუსიევს კომუნალურ განყოფილების შენობაში.

ტირაჟი 10.000 ნ. ჟ. ხ. ნ. საქართველოს კომუნისტური პარტიის [illegible] სტამბა [illegible] ქ. № 4.